საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებებისა და ევროკავშირის სასამართლოების მიერ განხორციელებული აქტივობები

სექტემბერი, 2026

01

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

900 მილიონ ზლოტზე მეტი ჯარიმა ფარმაცევტულ საბითუმო მოვაჭრეებს



UOKiK-მა ოთხ საწარმოს ჯამში 900 მილიონ ზლოტზე მეტი ჯარიმა დააკისრა შეთანხმებული მოქმედების გამო, რომლის ფარგლებშიც პოლონეთის უმსხვილესმა ფარმაცევტულმა საბითუმო მოვაჭრეებმა Neuca, Farmacol და Polska Grupa Farmaceutyczna, 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთმანეთს უზიარებდნენ სენსიტიურ ინფორმაციას მედიკამენტების ფასების, გაყიდვების მოცულობისა და კომერციული პირობების შესახებ. 2015-2022 წლებში ამ ჯგუფების წილად საბითუმო ბაზრის 70% მეტი მოდიოდა, რაც მათ ურთიერთდამოკიდებულებას პოლონეთის აფთიაქების ბაზარზე გადამწყვეტ გავლენას ანიჭებდა. გადაწყვეტილება დადებითად

შეაფასა ევროკომისიამაც, რომელმაც დაადასტურა როგორც პრაქტიკის სამართლებრივი კვალიფიკაცია, ისე ადგილზე შემოწმების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები.

კონკურენტების საჯარო ფასების მონიტორინგი კანონდარღვევად არ მიიჩნევა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში საწარმოებმა არასაჯარო ინფორმაციაზე, კერძოდ, ცალკეულ აფთიაქებში შეთავაზებულ ფასებზე, წვდომა მოიპოვეს პარტნიორული პროგრამების IT-ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებსაც აფთიაქებს ფასდაკლების, ტრენინგისა და მარკეტინგული მხარდაჭერის სანაცვლოდ სთავაზობდნენ. Neuca და Polska Grupa Farmaceutyczna ამ ინსტრუმენტებს 2015 წლის ოქტომბრიდან იყენებდნენ, Farmacol-ის ჯგუფი კი მათ 2017 წლის იანვარში შეუერთდა.

ათასობით აფთიაქის მონაცემებმა მონაწილეებს ბაზრის სრული სურათი შესთავაზა მათ ზუსტად იცოდნენ, რას, რა ფასად და რა პირობებით ყიდულობდა თითოეული აფთიაქი კონკურენტისგან. ფასით, ფასდაკლებითა და მარჟით კონკურენციის ნაცვლად, საწარმოებმა შეთავაზებები ერთმანეთის ცნობილ პირობებზე მორგებით ჩამოაყალიბეს და ამით თავიდან აიცილეს რეალური ბრძოლა საკუთარი მოგების ხარჯზე.

სამართლიანი კონკურენცია პაციენტს აძლევს რეალურ არჩევანს, სად შეიძინოს მედიკამენტი უფრო იაფად. 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში პოლონეთის უმსხვილესმა საბითუმო მოვაჭრეებმა, ერთმანეთის ფასების ცოდნით, კონკურენციის ნაცვლად ფაქტობრივად „დაასინქრონეს“ ფასების სიები, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ბაზრის კონკურენცია.

ინფორმაციის გაცვლამ მოვაჭრეებს ფასების ომის თავიდან აცილების საშუალება მისცა: კონკურენტის ფასის ზრდისას თავადაც ზრდიდნენ ფასს მომხმარებლის დაკარგვის რისკის გარეშე, ხოლო ფასის დაწევისას შეთავაზებას იმ დონემდე ცვლიდნენ, რომ, როგორც ერთ-ერთი მოვაჭრის შიდა მიმოწერაშია აღნიშნული, „ფასების ომი არ გამოეწვია“. ამან წლების განმავლობაში შეინარჩუნა ძალთა ბალანსი მონაწილეებს შორის და შეზღუდა სხვა მოვაჭრეების რეალური კონკურენცია, რაც საბოლოოდ პაციენტისთვის უფრო მაღალ ფასებში აისახა.

მედიკამენტების უმსხვილესმა მომწოდებლებმა ბაზარზე საკუთარი თავისთვის კომფორტული პირობები შექმნეს პაციენტის ხარჯზე. ამ მასშტაბით კონკურენციის შეზღუდვა განსაკუთრებით საზიანოა საზოგადოებისთვის.

აკრძალულ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის დაკისრებული ჯარიმების ჯამურმა ოდენობამ PLN 904 969 744,47 შეადგინა: Neuca - PLN 499 037 763,85, Farmacol-Logistyka -PLN 400 532 440, Farmacol - PLN 3 488 520, Świat Zdrowia - PLN 1 911 020,62. მაქსიმალური ჯარიმა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის საწარმოს წლიური ბრუნვის 10% შეიძლება მიაღწიოს.

წყარო:

02



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

570 მილიონ ზლოტზე მეტი ჯარიმა BIEDRONKA-სა და სატრანსპორტო კომპანიებს

UOKiK-მა Biedronka ქსელის მფლობელს, 29 სატრანსპორტო კომპანიასა და რვა ფიზიკურ პირს ჯამში 570 მილიონ ზლოტზე მეტი ჯარიმა დააკისრა შეთანხმებული მოქმედების გამო, რომლის ფარგლებშიც გადამზიდველები შეთანხმდნენ, ერთმანეთისგან თანამშრომლებს არ მოიზიდავდნენ, ხოლო შეთანხმებას კოორდინაციას უწევდა Jeronimo Martins Polska. შედეგად შეიზღუდა მძღოლების თავისუფლება, შეეცვალათ დამსაქმებელი, რამაც წლების განმავლობაში რამდენიმე ათასი მძღოლისთვის ნაკლებად ხელსაყრელი დასაქმების პირობები გამოიწვია.



Biedronka-ს დისტრიბუციის ცენტრებთან თანამშრომელი გადამზიდველები 2017 წლის ივნისიდან UOKiK-ის მიერ 2024 წლის თებერვალში ჩატარებულ ჩხრეკამდე შეთანხმებული იყვნენ, არ დაესაქმებინათ მძღოლები, რომლებიც ადრე კარტელის სხვა მონაწილე კომპანიაში მუშაობდნენ. სამუშაო ადგილის შესაცვლელად მძღოლს არსებული დამსაქმებლის თანხმობა სჭირდებოდა; ამის გარეშე მოქმედებდა ე.წ. „დალოდების პერიოდი“ რამდენიმეთვიანი შეზღუდვა შესაბამის დისტრიბუციის ცენტრზე დასაქმებაზე, რაც კონკურენტი კომპანიის მძღოლის აყვანას პრაქტიკულად ეკონომიკურად არახელსაყრელს ხდიდა. შედეგად შემცირდა კონკურენცია მძღოლების მოსაზიდად და ზეწოლა მათი ხელფასების ზრდაზე.

გადაწყვეტილება წარედგინა ევროკომისიას, რომელმაც დაეთანხმა UOKiK-ის შეფასებას კონკურენციის შეზღუდვის თაობაზე.

დასაქმებულებს უფლება აქვთ, მოძებნონ უკეთესი ანაზღაურება და სამუშაო პირობები. კოლუზია, რომელიც მათ ამ უფლებას ართმევს, ფერხდება სამართლიანი კონკურენციის ფუნდამენტურ პრინციპებს და ბაზრიდან გამონაკლისების გარეშე უნდა აღიკვეთოს. სარგებელი მიიღეს შეთანხმების მონაწილეებმა, ხოლო ეკონომიკური შედეგები დასაქმებულებსა და მათ ოჯახებს დააწვათ.

Jeronimo Martins Polska იყო კოლუზიის ორგანიზატორი: უზრუნველყოფდა შეთანხმებული პირობების აღსრულებას, გადამზიდველებს შორის ინფორმაციის

გაცვლისას შუამავლის როლს ასრულებდა და წყვეტდა, ვის ჰქონდა დისტრიბუციის ცენტრში შესვლის უფლება. კომპანია ირიბად თავადაც სარგებლობდა ამ შეთანხმებით, ვინაიდან მან შეამცირა ზეწოლა როგორც მძღოლების ხელფასებზე, ისე გადამზიდველების სატრანსპორტო ტარიფებზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შიდა დოკუმენტებმა დაადასტურეს პრაქტიკის შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, მან ნებაყოფლობით არ შეწყვიტა იგი UOKiK-ის ჩხრეკამდე.

შეთანხმების მონაწილეებზე დაკისრებული ჯარიმების ჯამურმა ოდენობამ PLN 571 960 550 შეადგინა, საიდანაც PLN 525 535 050 დაეკისრა Biedronka-ს მფლობელს. ფინანსური სანქციები ასევე დაეკისრა რვა ფიზიკურ პირს შესაბამისი კომპანიების მფლობელებს, პარტნიორებსა და მმართველებს. შეთანხმების ერთ-ერთმა მონაწილემ, Międzynarodowy i Krajowy Przewóz Towarów Kazimierz Olszański-მა, განაცხადა თანამშრომლობის (leniency) პროგრამის ფარგლებში და წარადგინა ინფორმაცია კოლუზიის ფუნქციონირების შესახებ; ვინაიდან განცხადება წარმოების დაწყების შემდეგ გააკეთა, სრული გათავისუფლების ნაცვლად მისი ჯარიმა 50 პროცენტით შემცირდა PLN 166 600-მდე.

შრომის ბაზარზე თანამშრომლების ურთიერთშეზღუდვის შეთანხმებები (no-poaching შეთანხმებები) კანონმდებლობით აკრძალულია, ვინაიდან ისინი ზეგავლენას ახდენენ თანამშრომლებისთვის შეთავაზებულ ანაზღაურებაზე და შესაძლოა გამოიწვიოს ხელფასების შემცირება ან მათი ზრდის შენელება. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია 2024 წლის ივლისში გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში „Collusion and Abuses on the Labour Market. Competition Law vs. Employee Matters“.

UOKiK ასევე ახსენებს დაინტერესებულ პირებს ანონიმური საინფორმაციო პლატფორმის შესახებ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კონკურენციის შემზღუდველი პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება (https://uokik.whiblo.pl/); სისტემა უზრუნველყოფს სრულ ანონიმურობას, მათ შორის UOKiK-ისგანაც.

საწარმოებზე დაკისრებული ჯარიმები:

Jeronimo Martins Polska - PLN 525 535 050

Euro Finannce - PLN 6 727 000

Mena P.M. - PLN 4 174 800

Trans-GP - PLN 4 632 600

LKW Poland - PLN 3 750 600

Usługi Transportowe – Piotr Słowik - PLN 3 357 200

P.P.H.U. „Zadroga” W. Zadroga, G. Zadroga - PLN 3 056 900

EF Transport - PLN 3 108 700

Anna Kalinowska EFTransport - PLN 2 412 900

Tureni - PLN 2 242 800

Rasz - PLN 1 855 000

Rolko - PLN 1 309 700

Usługi Transportowe Dariusz Pawlik - PLN 1 051 400

Firma Handlowo-Usługowa „Artho-Trans” Artur Chłopicki - PLN 1 026 900

ATTP - PLN 924 700

Elżbieta Pawlik El-Trans - PLN 806 400

Usługi Transportowe Krzysztof Wojtczak - PLN 640 500

Solus - PLN 632 800

F.H.U. Szewczyk Roman - PLN 474 600

Międzynarodowy i Krajowy Przewóz Towarów Kazimierz Olszański - PLN 166 600

Firma Usługowo Handlowa Jarosław Komasara - PLN 18 200

Transport Krajowy i Zagraniczny „Maj-Trans” Maciej Szczygieł - PLN 401 800

Nowa Logistic - PLN 420 000

PI-Trans Transport Krajowy i Międzynarodowy Piotr Majewski - PLN 552 300

Sławomir Sajdak sp. j. - PLN 207 200

Altis 1 - PLN 137 200

AK.Transport - PLN 100 100

A&K Anita Strusińska-Piszczek - PLN 82 600

PGT Trans - PLN 79 800

Mirosława Muszyńska F.H.U. „SAS” - PLN 60 900

ფიზიკურ პირებზე დაკისრებული ჯარიმები:

Dawid Kalinowski - PLN 390 000 (Euro Finannce, EF Transport)

Grzegorz Piwkowski - PLN 180 000 (Trans-GP)

Wiesława Łupińska-Mikulicz - PLN 247 500 (Rolko)

Daniel Cokot - PLN 247 500 (Solus)

Wojciech Zadroga - PLN 180 000 (P.P.H.U. „Zadroga” W. Zadroga, G. Zadroga)

Rafał Szczerbetka - PLN 240 000 (Rasz)

Witold Wawrzyniak - PLN 135 000 (Nowa Logistic)

Sławomir Sajdak - PLN 240 000 (Sławomir Sajdak sp.j.)

01



ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისი

კონკურენციის დაცვის ოფისმა კომპანია 36,4 მილიონი ჩეხური კრონით დააჯარიმა

ჩეხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის ოფისმა შინაური ცხოველების პრემიუმ-კლასის საკვებისა და აქსესუარების დისტრიბუტორ Plaček Pet Products s.r.o.-ს 36 438 000 ჩეხური კრონის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. გადაწყვეტილების თანახმად, 2013 წლის 17 იანვრიდან 2022 წლის 3 მარტამდე პერიოდში კომპანია თავის კლიენტებს ძაღლებისა და კატების საკვებსა და შინაური ცხოველების აქსესუარებზე სავალდებულო მინიმალურ საცალო ფასებს უწესებდა. კომპანიამ ოფისთან მორიგების პროცედურის ფარგლებში ითანამშრომლა, რის შედეგადაც ჯარიმა მნიშვნელოვნად შემცირდა. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და უკვე ძალაში შევიდა.

ვერტიკალური კარტელი თითქმის ათწლეულის განმავლობაში მოქმედებდა და კონკურენციას ამახინჯებდა არა მხოლოდ ჩეხეთში, არამედ ევროკავშირის ბაზარზეც. Plaček Pet Products კლიენტებთან კომერციულ თანამშრომლობას შეთანხმებული პირობების დაცვაზე აპირობებდა და მათ ფასების განსაზღვრულ დონემდე ასვლას ავალდებულებდა, საჭიროების შემთხვევაში სანქციების გამოყენების მუქარითაც კი, თუ მინიმალური ფასები დაცული არ იქნებოდა.

ვერტიკალური შეთანხმებები, რომლებიც საცალო მინიმალურ ფასებს აწესებენ, თავისი ბუნებით უარყოფითად მოქმედებენ კონკურენციაზე, ვინაიდან გამორიცხავენ საქონლის ფასზე დაფუძნებულ კონკურენციას მომხმარებლისთვის, როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტორს.

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას ოფისმა გაითვალისწინა რიგი შემამსუბუქებელი გარემოებები: კომპანიამ ოფისის მიერ ჩატარებული შემოწმებების შემდეგ დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შეწყვიტა კანონსაწინააღმდეგო ქმედება და განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები; აცნობა კლიენტებს, რომ საბოლოო გასაყიდი ფასის განსაზღვრა მათივე უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა; სრულად ითანამშრომლა ოფისთან, რამაც ხელი შეუწყო კონკურენციის სამართლის დარღვევის დადგენას; და დანერგა საკმარისად ეფექტიანი კომპლაენს-პროგრამა, რომელიც შესაბამისი ბაზრების ფუნქციონირებას, საქონლის ხასიათსა და ტიპს, ბიზნეს-მოდელსა და კომპანიის ზომას ითვალისწინებდა.

Plaček Pet Products პრემიუმ-კლასის შინაური ცხოველების საკვებისა და აქსესუარების წამყვანი დისტრიბუტორია ჩეხეთის ბაზარზე. კომპანია ავრცელებს ისეთ ბრენდებს, როგორიცაა Brit, Carnilove, Ontario და Eukanuba, ასევე Beaphar-ისა და Repti Planet-ის აქსესუარებს, და საცალო ვაჭრობის სფეროშიც საქმიანობს.

წყარო:

01



ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია

მაღალი მოგება საწვავის გაზრდილი ხარჯების მიუხედავად

ავსტრალიის ორმა უმსხვილესმა ავიაკომპანიათა ჯგუფმა მაღალი ფინანსური შედეგი აჩვენა საწვავის მნიშვნელოვნად გაზრდილი ფასების მიუხედავად. ამის შესახებ ვკითხულობთ ACCC-ის (ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისია) უახლეს კვარტალურ ანგარიშში.

Qantas Group-ის საოპერაციო მოგებამ დაახლოებით 2,35 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით ნაკლებია. Virgin Australia-ს მოგებამ 753 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 13,4 პროცენტიან ზრდას წარმოადგენს. ბაზრის წილების მიხედვით ლიდეროობს Qantas 35,9 პროცენტით, მას მოსდევენ Virgin Australia 33,3 პროცენტით, Jetstar 29,3 პროცენტით და Rex 1,5 პროცენტით.

დროული ჩამოსვლის მაჩვენებელი ივლისში 78,4 პროცენტამდე დაეცა, მაშინ როდესაც გრძელვადიანი საშუალო მაჩვენებელი 80,5 პროცენტს შეადგენს. ერთადერთი ავიაკომპანია, რომელმაც ეს ზღვარი გადალახა, Qantas იყო 81,4 პროცენტიანი მაჩვენებლით და ზედიზედ მეექვსე თვეა, რაც ამ კრიტერიუმით ლიდეროობს. გაუქმების მაჩვენებელი კი მდგრადად დაბალი, 1,5 პროცენტის დონეზე, რჩება, რაც 2018 წლის შემდეგ ყველაზე ხანგრძლივი ასეთი პერიოდია.

ACCC-ის თავმჯდომარის, ჯინა კეს-გოტლიბის განცხადებით, საწვავის მნიშვნელოვნად გაზრდილი ხარჯების მიუხედავად, ორივე ჯგუფმა მაღალი მოგება შეინარჩუნა, რაც ცხადყოფს ავსტრალიის მაღალკონცენტრირებული საავიაციო ბაზრის ორი უმსხვილესი ოპერატორის ფინანსურ მდგრადობას.

მაღალი შედეგები განაპირობა მდგრადმა მოთხოვნამ, ავიაბილეთების გაზრდილმა ფასებმა (მაისში 3,5 პროცენტითა და ივნისში 4 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით), სატევადობის კორექტირებამ და საწვავის ფასის წინასწარმა ფიქსაციამ. კომპანიები საწვავის ხარჯების შემდგომ ზრდასა და სატევადობის დამატებით შემცირებას ელოდებიან, რამაც, მოთხოვნის სტაბილურობის ფონზე, შესაძლოა ავიაბილეთების ფასების ზრდაზეც იქონიოს გავლენა.

Key results



Changes in domestic passengers and capacity – July 2026

Airline	Passenger % change YoY	Passenger % change from 2019	Capacity % change YoY	Capacity % change from 2019
Jetstar	+0.8%	+14.3%	+1.3%	+11.6%
Qantas	-1.5%	-3.6%	-2.2%	-2.3%
Rex	-6.0%	-27.8%	-9.4%	-31.8%
Virgin Australia	+0.3%	-10.1%	+1.2%	-14.4%
Industry total	**-0.3%**	**-1.9%**	**-0.4%**	**-4.7%**

Notes: (1) YoY means year-on-year (July 2025 to July 2026). (2) Industry totals for passengers and seat capacity in July 2019 include Tigerair. Tigerair had approximately 7.0% domestic passenger share in July 2019 but ceased operations in March 2020.

დასავლეთ სიდნეის საერთაშორისო აეროპორტმა სატვირთო ოპერაციები ივლისში დაიწყო, ხოლო სამგზავრო რეისები ოქტომბერს დაიწყება. აეროპორტის 24-საათიანმა ფუნქციონირებამ და სლოტებზე გაზრდილმა ხელმისაწვდომობამ დროთა განმავლობაში შესაძლოა ბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შესვლა გაუადვილოს და კონკურენცია გააძლიეროს.

ACCC ავსტრალიის შიდა ავიაინდუსტრიის მონიტორინგს მთავრობის დავალებით ახორციელებს, რომელიც 2026 წლის დეკემბრამდეა მოქმედი. მთავრობამ ამ ფუნქციის 2029 წლის დეკემბრამდე გაგრძელების განზრახვა უკვე გამოაცხადა.

წყარო:

02



ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია

კომისიამ ონლაინ მაღაზია NEPTUNE BLANKET დააჯარიმა შეცდომაში შემყვანი განცხადებების გამო

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისიამ (ACCC) ონლაინ მაღაზიას Neptune Blanket-ს (Dysck Pty Ltd) მომხმარებლის გარანტიების თაობაზე სავარაუდოდ შეცდომაში შემყვანი განცხადებების გამო სამი დარღვევის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა. კომპანიამ 59 400 ავსტრალიური დოლარის ჯარიმა გადაიხადა.

ორი შეტყობინება ეხება იმ წერილებს, რომლებიც კომპანიამ პროდუქციაზე პრეტენზიის მქონე ორ მომხმარებელს გაუგზავნა. ACCC-ის შეფასებით, ამ წერილებში კომპანია ისე წარმოაჩენდა საკითხს, თითქოს პროდუქციის დაბრუნება ან გაცვლა მხოლოდ კომპანიის შეხედულებისამებრ ხდებოდა ან ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მაღაზიის კრედიტის სახით, ნივთი უნდა ყოფილიყო გაუხსნელი და გამოუყენებელი, ხოლო დაბრუნებასთან დაკავშირებულ ტრანსპორტირების ხარჯებს მომხმარებელი თავად ანაზღაურებდა. ამასთან, ავსტრალიის სამომხმარებლო სამართლის (ACL) თანახმად, გარანტიის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს თანხის დაბრუნება, ნივთის შეკეთება ან ჩანაცვლება.

მესამე შეტყობინება ეხება კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საგარანტიო ვალდებულებას, რომელიც არ შეიცავდა ACL-ით გათვალისწინებულ, მომხმარებლის გარანტიებთან დაკავშირებულ სავალდებულო ფორმულირებას.

ACCC-თან კონტაქტის შემდეგ კომპანიამ შეწყვიტა სადავო განცხადებების გამოყენება, ვებგვერდზე გამოაქვეყნა სავალდებულო ფორმულირება და განაახლა საკუთარი პროცედურები. ACCC-ის განმარტებით, კონტაქტის შემდეგ გადადგმულმა ნაბიჯებმა შესაძლოა ვერ გამორიცხოს აღსრულების დამატებითი ზომების გატარება. შეტყობინებით დაკისრებული ჯარიმის გადახდა კანონდარღვევის აღიარებას არ წარმოადგენს.

წყარო:

01



ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ჯარიმა არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისთვის



მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო სამსახურმა (VVTAT) UAB CheckCar.VIN-ის საქმიანობის შესწავლის შედეგად დაადგინა მომხმარებელთა მიმართ არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის აკრძალვის შესახებ კანონის დარღვევა და კომპანიას 26 028 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

გამოძიება დაიწყო მომხმარებელთა საჩივრების საფუძველზე, რომლებიც ვებგვერდ „checkcar.vin"-ზე შეთავაზებულ ავტომობილის ისტორიის შემოწმების სერვისებს ეხებოდა. მომხმარებლები უჩიოდნენ, რომ სამდღიანი საცდელი პერიოდის დაბალი საწყისი ფასით (მაგალითად, 1,99 ან 0,99 ევრო) შეძენის შემდეგ გამოწერა ავტომატურად განახლდებოდა

და მათ ყოველთვიურად 99,99 ევრო ერიცხებოდათ. VVTAT-ის დასკვნით, ეს ინფორმაცია მომხმარებლისთვის საკმარისად მკაფიოდ არ იყო მიწოდებული, რის გამოც კომპანია ვერ უზრუნველყოფდა მომხმარებლის ინფორმირებულ და ნამდვილ ნებას, შეეკვეთა სრული გამოწერა.

VVTAT-მა ასევე შეაფასა კომპანიის ფასების წარმოდგენის მეთოდი - დაბალი ფასის გვერდით გამოსახული იყო უფრო დიდი, გადახაზული თანხა, ახსნის გარეშე, რამაც საშუალო მომხმარებელში შესაძლოა შექმნას მცდარი შთაბეჭდილება ფასდაკლების არსებობის შესახებ, თუმცა რეალურად შედარებული იყო სერვისის შეძენის სხვადასხვა ვარიანტი.

კომპანია ამ საკითხთან დაკავშირებით VVTAT-მა 2025 წლის ივნისშივე გააფრთხილა და რეკომენდაცია მისცა, რომ გადახდამდე მომხმარებლისთვის მკაფიოდ და თვალსაჩინოდ წარმოედგინა ფასისა და გამოწერის პირობების შესახებ ინფორმაცია და უზრუნველეყო გამოწერის მოხერხებული გაუქმება. თუმცა ეს რეკომენდაცია ჯეროვნად არ იქნა გათვალისწინებული და დადგენილი პრაქტიკა გაგრძელდა. სანქციის დაკისრებისას VVTAT-მა გაითვალისწინა კომპანიის თანამშრომლობა გამოძიებისას, ასევე ის ფაქტი, რომ ეს კომპანიისთვის პირველი დარღვევა იყო.

დადგინდა, რომ სადავო პრაქტიკა სულ მცირე 2025 წლის 24 მარტიდან, ანუ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოქმედებდა და არც VVTAT-ის რეკომენდაციისა და არც გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმირების შემდეგ შეცვლილა, კომპანიის სერვისებით უცხოელი მომხმარებლებიც სარგებლობდნენ.

VVTAT-ის კომისიამ დაადგინა, რომ UAB CheckCar.VIN-ის საქმიანობა არღვევდა მომხმარებელთა მიმართ არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის აკრძალვის შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველ ნაწილს და აკმაყოფილებდა შეცდომაში შემყვანი და არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

VVTAT შეახსენებს მომხმარებლებს, რომ საცდელი პერიოდის სერვისის შეკვეთამდე მნიშვნელოვანია გადამოწმდეს ავტომატური განახლების პირობები, პერიოდული გადასახადის ოდენობა და გამოწერის შეწყვეტის წესი, ხოლო მეწარმეებს მოუწოდებს, ეს ინფორმაცია მომხმარებელს მკაფიოდ და დროულად მიაწოდონ.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში.

წყარო:

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ვებგვერდი BAITERA.LT სასამართლოს განჩინებით დაიბლოკა



ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურმა (VVTAT) მიიღო სასამართლოს განჩინება ინტერნეტ დომენის baitera.lt დაბლოკვის თაობაზე. დომენი ეკუთვნის კომპანიას MB Baitera, რომელიც მართავს ონლაინ მაღაზიას www.baitera.lt.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კომპანიის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ მომხმარებელთა საჩივრების სისტემატურად მზარდი რაოდენობის გამო. 2026 წლის იანვრიდან მომხმარებლები უთითებდნენ, რომ შეძენილი საქონელი ვერ იყო მიწოდებული, გადახდილი თანხა არ ბრუნდებოდა, იზღუდებოდა დისტანციური ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და კომპანია არ პასუხობდა წერილობით პრეტენზიებს. მას შემდეგ, რაც MB Baitera-მ უგულებელყო VVTAT-ის მოთხოვნა, შეეზღუდა მომხმარებელთა მიერ ახალი ხელშეკრულებების დადება, სამსახურმა სასამართლოს მომართა დომენის დაბლოკვის ნებართვის მისაღებად. რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლოს ვილნიუსის პალატამ 2026 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ეს ნებართვა მისცა.

რა უნდა იცოდნენ უკვე დადებული ხელშეკრულების მქონე მომხმარებლებმა

ვებგვერდის დაბლოკვა არ ათავისუფლებს MB Baitera-ს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისგან. VVTAT-ის ინფორმაციით, კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის პროცედურა არ დაწყებულა, ამიტომ მან მომხმარებელთა მიმართ ვალდებულებების შესრულება უნდა გააგრძელოს.

მომხმარებლებმა, რომლებმაც ვერ მიიღეს შეკვეთილი საქონელი ან თანხის დაბრუნება, ჯერ წერილობით უნდა მიმართონ კომპანიას ელექტრონული ფოსტით info@baitera.lt და წარადგინონ კონკრეტული პრეტენზია. თუ კომპანია მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს ან კანონით დადგენილ ვადაში პასუხს არ გასცემს, მომხმარებელს შეუძლია მიმართოს VVTAT-ს.

VVTAT შეახსენებს, რომ დაბლოკვის ზომა მიზნად ისახავს ახალი ხელშეკრულებების დადებისა და მომხმარებელთა შემდგომი ზარალის თავიდან აცილებას და არ აუქმებს კომპანიის ვალდებულებას, ჯეროვნად შეასრულოს უკვე დადებული ხელშეკრულებები.

წყარო:

01



საფრანგეთის კონკურენციის უწყება

საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ პოდკასტ CARTELS&CIE-ის ინგლისურენოვანი ვერსია წარადგინა



პოდკასტ „Cartels & Cie“-ის პირველი ორი სეზონის წარმატების შემდეგ საფრანგეთის კონკურენციის უწყება (Autorité de la concurrence) სიამოვნებით აცხადებს მისი ინგლისურენოვანი ვერსიის გამოშვების შესახებ.

რვა ეპიზოდისგან შემდგარი სერია მსმენელს საფრანგეთის ეკონომიკის ძირითად სექტორებში უწყების მიერ ჩატარებული სამი მნიშვნელოვანი კარტელური მოკვლევის კულისებს აცნობს: სარეცხი საშუალებების, იატაკის საფარისა და საგზაო ნიშნების ბაზრებზე.

სერიაში მოცემულია უწყების მკვლევართა, აგრეთვე კარტელების შესახებ ინფორმირებული საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა უშუალო მონათხრობი, რაც მსმენელს მოკვლევების მიმდინარეობას შიგნიდან გააცნობს.

თავდაპირველად ფრანგულად შექმნილი პოდკასტი ინგლისურად თავად უწყებამ თარგმნა. ყველა მონაწილეს ხმას პროფესიონალი მსახიობები აძლევენ, ხოლო სახელები უცვლელია.

პოდკასტი „Cartels & Cie“ შეგიძლიათ მოისმინოთ ქვემოთ და ყველა მთავარ სამსმენელო პლატფორმაზე.

წყარო:



ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრაქტიკის მიმოხილვა - კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები (Art. 101 of TFEU).

სარჩევი

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრაქტიკის მიმოხილვა - კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები (Art. 101 of TFEU) და მომხმარებლის უფლებების დაცვა.....**Error! Bookmark not defined.**

- **აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) - შეთანხმებული ქმედება (Concerted practice).....Error! Bookmark not defined.**
- **აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) - შეთანხმებული ქმედება (Concerted practice).....16**
- **მომხმარებლის უფლებების დაცვა - ელექტრონული კომერცია.....18**
- **მომხმარებლის უფლებების დაცვა - უსამართლო სტანდარტული პირობები 21**
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ შვილობილი კომპანიისგან, რომლის მშობელ კომპანიასაც დაუდგინდა დარღვევა (მონაწილეობდა კარტელში)**Error! Bookmark not defined.**

აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) - შეთანხმებული ქმედება (Concerted practice)

საქმე C-133/24 - პორტუგალიის საფეხბურთო კლუბების შეთანხმების საქმე
https://curia.europa.eu/site/upload/docs/application/pdf/2026-04/cp260067en.pdf

ფაქტობრივი გარემოებები

2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით, პორტუგალიის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ (LPFP) შეაჩერა ყველა სპორტული ტურნირი. ამასთან, ამავე წლის აპრილში, LPFP-მ, ასევე პირველი და მეორე დივიზიონის კლუბებმა განაცხადეს, რომ ისინი არ დაიქირავებდნენ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც ცალმხრივად შეწყვეტდნენ შრომით კონტრაქტებს პანდემიით გამოწვეული გარემოებების გამო.

პორტუგალიის კონკურენციის ორგანომ დაასკვნა, რომ აღნიშნული შეთანხმება კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებას წარმოადგენდა. დადგინდა, რომ შეთანხმება ზღუდავდა კლუბებს შორის კონკურენციას სამუშაო ძალის დაქირავების ბაზარზე და ირიბად ახდენდა ზეწოლას ხელფასებსა და სატრანსფერო ღირებულებებზე.

აღიშული გადაწყვეტილება გაასაჩივრდა პორტუგალიის ეროვნულ სასამართლოში, რომელმაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლის განმარტებისათვის შეკითხვით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU).

CJEU -ს გადაწყვეტილება

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეთანხმების კონკურენციის საწინააღმეგო მიზნის დასადგენად აუცილებელია შეთანხმების შინაარსის, ეკონომიკური-სამართლებრივი კონტექსტისა და შეთანხმების ობიექტური მიზნების გათვალისწინება. მართალია შეთანხმება დაიდო COVID-19 პანდემიის გამო გამოწვეული მდგომარეობის გამო, თუმცა მხოლოდ ეს გარემოება არ ამართლებს კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევას, რადგან მსგავსი ტიპის შეთანხმება აშკარად ზღუდავს კონკურენციას და შეუძლია ირიბი გავლენა იქონიოს ფეხბურთელების „შესასყიდ ფასზე“, რომელიც კლუბის ადამიანურ რესურსს წარმოადგენს.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რამდენად არსებობდა კონკურენციის შეზღუდვის მიზნისგან განსხვავებული - პროკონკურენტული მიზანი. ანუ ჩემპიონატის შესაძლო განახლების შემთხვევაში აღნიშული საშუალებით რამდენად

შესაძლებელი იქნებოდა გუნდების შემადგენლობებისა და ტურნირის სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულობის ტესტი

CJEU-მ დაადგინა, რომ სპორტული შეჯიბრებების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს იმ ლეგიტიმურ მიზანს, რამაც შესაძლოა გაამართლოს მსგავსი შეზღუდვები. თუმცა, შეთანხმების საბოლოო კანონიერების დასადგენად, ეროვნულმა სასამართლომ დეტალურად უნდა შეამოწმოს ქმედება უზრუნველყოფდა თუ არა რეალურად დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას (გამოსადეგობა), არსებობდა თუ არა ნაკლებად შემზღუდველი ალტერნატივა, რომლითაც იგივე მიზანი მიიღწეოდა (აუცილებლობა) და გადაწონიდა თუ არა მიღწეული სიკეთე კონკურენციისთვის მიყენებულ ზიანს (პროპორციულობა).

CJEU-მ დაადგინა, რომ ასეთი შეთანხმება შესაძლოა თავსებადი იყოს ევროკავშირის სამართალთან, თუ იგი გაივლის პროპორციულობის ტესტს. შეთანხმებას, კონკურენციის საწინააღმდეგო ელემენტებთან ერთად, ჰქონდა **ლეგიტიმური საჯარო მიზანიც** - ჩემპიონატის განახლების შემთხვევაში სპორტული ტურნირის მუდმივობისა და სტაბილურობის შენარჩუნება.

საბოლოო გადაწყვეტილება

CJEU-მ საქმე დაუბრუნა პორტუგალიის სასამართლოს, რომელმაც საბოლოოდ უნდა შეამოწმოს იყო თუ არა ეს შეთანხმება გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში, CJEU-მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის შეზღუდვა, მიზნის მქონე შეთანხმებას არ წარმოადგენს და ორიენტირებულია ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევაზე. პორტუგალიის სასამართლო ვალდებულია გაიზიაროს აღნიშული განმარტება და თუ დაადგენს, რომ ქმედება ნამდვილად ტურნირების სტაბილუროაბს უზრუნველყოფდა, კლუბებისა და ლიგისთვის დაკისრებული ჯარიმა გააუქმოს.

აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) - შეთანხმებული ქმედება (Concerted practice)

Case C-331/21 - EDP v. Ad C პოტენციური კონკურენცია (https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=ecli:ECLI%3AEU%3AC%3A2023%3A812)

ფაქტობრივი გარემოებები

2012 წელს პორტუგალიაში ენერგობაზრის ლიბერალიზაციის პროცესში, EDP-მ, პორტუგალიის ყოფილიმა მონოპოლისტმა და ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის

ბაზრის მოთამაშემ, ასევე Sonae-მ, პორტუგალიის უმსხვილესმა საცალო ვაჭრობის ქსელმა, შექმნეს ერთობლივი მარკეტინგული კამპანია. კამპანიის ფარგლებში მომხმარებლები, რომლებიც ყიდულობდნენ ელექტროენერგიას EDP-სგან, იღებდნენ ფასდაკლების ვაუჩერებს Sonae-ს "Continente"-ს სუპერმარკეტების ქსელში გამოსაყენებლად.

პარტნიორობის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა პირობა, რომლის მიხედვითაც Sonae და მისი შვილობილი კომპანიები იღებდნენ ვალდებულებას არ შესულიყვნენ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საცალო ბაზარზე პორტუგალიის ტერიტორიაზე ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე და მისი დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში.

ეროვნული წარმოება და მხარეთა პოზიციები

პორტუგალიის კონკურენციის ორგანომ (AdC) მიიჩნია, რომ აღნიშნული დათქმა წარმოადგენდა ბაზრის გაყოფის მცდელობას და კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას (Restriction by object), რის გამოც მხარეები დააჯარიმა.

კომპანიებმა გადაწყვეტილება გასაჩივრეს ლისაბონის სააპელაციო სასამართლოში. EDP ამტკიცებდა, რომ ისინი არ იყვნენ პოტენციური კონკურენტები, რადგან Sonae-ს არ აპირებდა ელექტროენერგიის ბაზარზე შესვლას. მხარე ასევე განამრტავდა, რომ დათქმა კონკურენციის აკრძალვას არ ემსახურებოდა, უბრალოდ ისეთი სახის აუცილებელი იყო მათ მიერ ერთობლივად წამოწყებული ლოიალობის/ფასდაკლების პროგრამის დასაცავად.

პორტუგალიის ეროვნულმა სასამართლომ CJEU-ს მიმართა კითხვით, რათა დაედგინა თუ რამდენად წარმოადგენდა ორი კომპანია ერთამენთის კონკურენტებს და ჰქონდა თუ არა აღნიშნულ დათქმებს რეალურად კონკურენციის საწინააღდეგო მიზანი.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ განმარტა, რომ შესაძლოა Sonae-ს მსგავს კომპანიას გააჩნია ყველა საჭირო რესურსი (ცნობილი ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა, ფინანსები და სადისტრიბუციო არხები) ბაზარზე შესვლისთვის, მაგრამ კომპანია პოტენციურ კონკურენტად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ თუ არსებობს შესაბამის ბაზარზე მისი შესვლის რეალური საფუძველი და კონკრეტული შესაძლებლობა და არა უბრალოდ თეორიული შანსი.

დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ მხარეები პოტენციური კონკურენტები არიან, შეთანხმება, რომელიც ერთ-ერთ მხარეს უკრძალავს მეორის ბაზარზე შესვლას, თავისი არსით აზიანებს კონკურენციას და ასეთ დროს ეროვნულ სასამართლოს არ მოეთხოვება ბაზარზე რეალურად დამდგარი უარყოფითი შედეგების დადასტურება. ის ფაქტი, რომ Sonae-ს სხვა შვილობილ კომპანიას წარსულში ჰქონდა ერთობლივი საწარმო (Sodesa) ენერგოსექტორში, ან რომ ფლობდა მცირე ელექტრულ სადგურებს ავტომატურად არ ხდის მას პოტენციურ კონკურენტად ელექტროენერგიის ბაზარზე, თუ იმ კონკრეტულ მომენტში ბაზარზე შესვლის რეალური სტრატეგია არ არსებობდა.

დამატებით, აღინიშნა, ის ფაქტი, რომ დათქმა მარკეტინგული კამპანიის შესახებ, რელურად მომხარებლისთვის მომგებიანი იყო, ვერ გამორიცხავდა შეთანხმების კონკურენციის საწინააღდეგო მიზანს, თუ Sonae პოტენციურ კონკურენტად ჩაითვლებოდა.

დასკვნა

სასამართლომ დაასკვნა, რომ პოტენციური კონკურენტია ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც აქვს რეალური და მატერიალური შესაძლებლობა შევიდეს ბაზარზე. იმ შემთხვევაში თუ პორტუგალიის სასამართლო ვერ დაამტკიცებს, რომ Sonae-ს გადადგმული ჰქონდა კონკრეტული მოსამზადებელი ნაბიჯები ბაზარზე ის არ უნდა ჩაითვალოს პოტენციურ კონკურენტად რაც ნიშნავს, რომ TFUE-ს101-ე მუხლის დარღვევასაც ადგილი არ ჰქონია.

მომხმარებლის უფლებების დაცვა - ელექტრონული კომერცია

Zalando SE v European Commission - ელექტრონული პლატფორმის განსაზღვრა (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:62023TJ0348)

1. ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი - **Zalando SE** ოპერირებს ელექტრონული კომერციის ბაზარზე ონლაინ სავაჭრო პლატფორმის - www.zalando.de -ის საშუალებით. მოვაჭრე ყიდის მოდის და სილამაზის პროდუქციას. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ პროდუქტები როგორც უშუალოდ Zalando-სგან (**Zalando Retail**), ისე მესამე პირი გამყიდველებისგან ე.წ. **Partner Programme**-ის ფარგლებში.

2023 წლის 17 თებერვალს Zalando-მ DSA-ის (ციფრული მომსახურებების აქტი) 24(2) მუხლის საფუძველზე გამოაქვეყნა ***საშუალო ყოველთვიური აქტიური მიმღებების[1] რაოდენობა*** (*the* AMAR), რომელიც შეადგენდა **83.341 მილიონს**.

Zalando ამტკიცებდა, რომ მისი მომსახურების მხოლოდ ის ნაწილი უნდა შეფასებულიყო ონლაინ პლატფორმად, რომელიც დაკავშირებული იყო Partner Programme-თან. ვინაიდან

[1] ევროკავშირის **ციფრული მომსახურებების აქტის (DSA)** კონტექსტში, **აქტიური მიმღები (Active Recipient)** არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იყენებს ონლაინ პლატფორმას (მაგალითად: სოციალურ ქსელს, საძიებო სისტემას, ონლაინ მაღაზიას) და გარკვეულწილად ინტერაქციაში შედის მასთან. მნიშვნელოვანია, რომ „აქტიური მიმღები“ **არ ნიშნავს მხოლოდ დარეგისტრირებულ მომხმარებელს**. ევროკავშირის წესების მიხედვით, პირი აქტიურ მიმღებად ითვლება, თუ ის ასრულებს შემდეგი ორი ქმედებიდან ერთ-ერთს: 1. **ინფორმაციის განთავსება/მოთხოვნა:** თავად ტვირთავს კონტენტს, პოსტავს, ყიდის ნივთს ან სთხოვს პლატფორმას რაიმე ინფორმაციის შენახვას. 2. **ინფორმაციის მიღება (კონტენტთან შეხება):** პლატფორმაზე უბრალოდ ათვალიერებს, კითხულობს ან უსმენს სხვების მიერ განთავსებულ ინფორმაციას, თუნდაც არ იყოს სისტემაში შესული (ავტორიზებული). მაგალითად, თუ პირი უბრალოდ დაათვალიერებს Zalando-ს პლატფორმას, ისიც ითვლება აქტიურ მიმღებად.

Zalando სისტემატურად ამოწმებს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლის მესამე პირი გამყიდველების მიერ მოწოდებული პროდუქციის აღწერილობებსა და გამოსახულებებს. მომჩივნის პოზიციით, მესამე პირი გამყიდველების გაყიდვებზე მოდიოდა პლატფორმის შესაბამისი საქმიანობის დაახლოებით 37%, რის საფუძველზეც AMAR დაახლოებით **30.836 მილიონს** შეადგენდა.

2023 წლის 22 თებერვალს ევროკომისიამ წინასწარ დაასკვნა, რომ Zalando აკმაყოფილებდა DSA-ის 33(4) მუხლით დადგენილ VLOP-ის (a very large online platform - „ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმა“) კრიტერიუმებს. კომისიამ AMAR-ის დასადგენად გამოიყენა 83.341 მილიონი აქტიური მიმღები, რის შედეგადაც Zalando-ს მაჩვენებელი აღემატებოდა DSA-ით დადგენილ 45-მილიონიან ზღვარს.

Zalando-მ მიიჩინა, რომ მას არსწორად მიენიჭა VLOP-ის (a very large online platform - „ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმა“) სტატუსი და აღნიშნული მიდგომა გაასაჩივრა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში.

2. ძირითადი სამართლებრივი საკითხების ანალიზი

2.1. წარმოადგენს თუ არა Zalando-ს პლატფორმა ონლაინ-პლატფორმას, ჰოსტინგის მომსახურებას ან შუამავალ მომსახურებას?

მხარეები შეთანხმდნენ, რომ **Zalando Retail-ის** ფარგლებში პროდუქციის პირდაპირი გაყიდვა არ წარმოადგენს ჰოსტინგის მომსახურებას, რადგან პლატფორმა ამ შემთხვევაში არ ინახავს მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, არამედ მხოლოდ თავად Zalando-ს მიერ შექმნილ ინფორმაციას. განსხვავებული ვითარებაა **Partner Programm-ის** შემთხვევაში: მესამე პირი გამყიდველები Zalando-ს აწვდიან პროდუქციის ფოტოებსა და აღწერებს, რომლებსაც Zalando ამოწმებს და საჭიროების შემთხვევაში ცვლის ან ავსებს მას. სასამართლომ აღნიშნა, რომ **ეს ცვლილებები არ გამორიცხავს იმას, რომ ინფორმაცია, სულ მცირე ნაწილობრივ, მესამე პირი გამყიდველებისგან მომდინარეობს.**

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ იმსჯელა იმაზე თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული „ინფორმაციად“. მისი განმარტებით, Regulation (EU) 2022/2065-ში მოცემული **„ინფორმაციის“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს** და მასში უნდა მოიაზრებოდეს მესამე პირების მიერ მიწოდებულ ფოტოებიც და პროდუქციის შეთავაზებებთან დაკავშირებული მონაცემებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ თავად პროდუქტის შეთავაზება წარმოადგენს „ინფორმაციას“ DSA-ის მიზნებისთვის და, შესაბამისად, Partner Programm-ის ფარგლებში მესამე პირების მიერ პროდუქციის შეთავაზებები წარმოადგენს მომსახურების მიმღებების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

მომჩივანი, ასევე ამტკიცებდა, რომ მის მიერ მესამე პირების ინფორმაციის **წინასწარი კონტროლი, შემოწმება და რედაქტირება** გამორიცხავდა ონლაინ-პლატფორმის სტატუსს. სასამართლომ ეს პოზიციაც არ გაიზიარა და განმარტა, რომ Regulation (EU) 2022/2065-ის მე-7 და მე-8 მუხლები არ გამორიცხავს პლატფორმის მიერ ინფორმაციის საკუთარი ინიციატივით შემოწმებას.

სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივანის სხვა დამატებითი არგუმენტებიც, კერძოდ, Zalando მიუთითებდა, რომ მესამე პირი გამყიდველების მიერ მოწოდებული ფოტოები უნდა განხილულიყო როგორც ფოტოები, რომლებიც თითქოს Zalando-ს მიერ საკუთარი პროდუქციის პირდაპირი გაყიდვისთვის დაქირავებულ ფოტოგრაფს მიეწოდებინა. სასამართლომ, აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ფოტოგრაფი არ წარმოადგენს Zalando-ს პლატფორმის **მომსახურების მიმღებს**, ხოლო მის მიერ გადაღებული ფოტოები პლატფორმაზე ინახება და ვრცელდება არა ფოტოგრაფის მოთხოვნით, არამედ **თავად Zalando-ს ინიციატივით**. ამიტომ მესამე პირი გამყიდველების მდგომარეობა და ფოტოგრაფის მდგომარეობა სამართლებრივად განსხვავებულია.

სასამართლომ დაადგინა, რომ Partner Programm-ის ფარგლებში Zalando **ინახავს და ავრცელებს მესამე პირი გამყიდველების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მათი მოთხოვნით**. ამ საქმიანობას, ასევე არ აქვს მხოლოდ უმნიშვნელო ან დამხმარე ხასიათი, ვინაიდან თავად Zalando-ს მონაცემებით, Partner Programm-ის გაყიდვები პლატფორმაზე გაყიდული პროდუქციის მთლიანი ღირებულების **37%-ს** შეადგენდა. შესაბამისად, Zalando-ს პლატფორმა Partner Programm-ის ფარგლებში წარმოადგენს **ონლაინ-პლატფორმას** DSA-ის მე-3 მუხლის (i) პუნქტის მნიშვნელობით და, შესაბამისად, ასევე **ჰოსტინგისა და შუამავალ მომსახურებას**. შესაბამისად, სასამართლოს მიერ პირველი სამართლებრივი საფუძვლის პირველი ნაწილი უარყოფილ იქნა.

3.2. „active recipient“-ისა და AMAR-ის განსაზღვრა

სასამართლომ ფართოდ განმარტა „active recipient“-ის ცნება. მისი მითითებით, მომხმარებლის პლატფორმასთან ურთიერთქმედებისთვის აუცილებელი არ არის მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეძენა, ანგარიშის შექმნა ან სხვა რაიმე აქტივობის განხორციელება, საკმარისად ჩაითვლება მესამე პირების მიერ მომხმარებლისთვის პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის ჩვენება და შესაბამისად მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციის გაცნობა.

ამასთან, სასამართლოს შეფასებით, Zalando-ს მიერ წარმოდგენილი 30.836 მილიონი მომხმარებლის მაჩვენებელი, რომელიც მესამე პირი გამყიდველების გაყიდვების 37%-იან წილს ეფუძნებოდა, არ ასახავდა იმ მომხმარებელთა რეალურ რაოდენობას, რომლებიც მესამე პირების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას გაეცნენ.

შესაბამისად, მხოლოდ გაყიდვების წილის გამოყენება AMAR-ის დასადგენად სამართლებრივად საკმარის მეთოდად ვერ ჩაითვალა.

2.3. სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის დარღვევა

Zalando ამტკიცებდა, რომ „Active recipient“-ის საკანონმდებლო ცნება საკმარისად ზუსტი არ იყო და კომპანიას არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა, რომელი მომხმარებლები უნდა ჩაეთვალა AMAR-ში. სასამართლომ შეაფასა აღნიშნული არგუმენტი და განმარტა, რომ სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპი მოითხოვს, რომ სამართლებრივი ნორმა იყოს საკმარისად მკაფიო და პროგნოზირებადი, თუმცა იგი არ მოითხოვს ყველა შესაძლო ტექნიკური სიტუაციის წინასწარ დეტალურ რეგულირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული არ არის სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპი.

საბოლოოდ, სასამართლომ მომჩივანის მიერ წარდგენილი სამივე ძირითადი სამართლებრივი საფუძველი უარყო და Zalando-ს სარჩელი სრულად იქნა უარყოფილი.

მომხმარებლის უფლებების დაცვა - უსამართლო სტანდარტული პირობები

SIA 'A' v C and Others, Case C-365/23 (სრული გადაწყვეტილება: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62023CJ0365&utm_source=chatgpt.com

1. ფაქტობრივი გარემოებები

A სპორტსმენებს სთავაზობდა პროფესიული განვითარებისა და კარიერის მხარდაჭერის მომსახურებას. 2009 წლის 14 იანვარს A-მ 17 წლის C-სთან, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი და ხელშეკრულებას მშობლების, D-სა და E-ს წარმომადგენლობით დებდა, გააფორმა 15-წლიანი მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულება ითვალისწინებდა C-ის სპორტულ განვითარებასა და კარიერულ მხარდაჭერას და მოიცავდა ქოუჩინგსა და წვრთნას, სპორტული მედიცინისა და ფსიქოლოგის მომსახურებას, კარიერულ კონსულტაციას, სპორტულ კლუბებთან ხელშეკრულებების დადებაში დახმარებას, მარკეტინგულ, იურიდიულ და საბუღალტრო მომსახურებას.

C ვალდებული იყო A-სთვის გადაეხადა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მიღებული წმინდა შემოსავლის 10%, დამატებული დღგ, იმ პირობით, რომ მისი ყოველთვიური შემოსავალი არანაკლებ 1 500 ევროს შეადგენდა. შემდგომ C პროფესიონალი სპორტსმენი გახდა და სპორტულ კლუბებთან ხელშეკრულებებიდან შემოსავალი მიიღო. 2020 წელს A-მ C-გან ლატვიის სასამართლოში მოითხოვა 1 663 777,99 ევროს გადახდა, რაც C-ის შემოსავლის 10%-ს შეადგენდა.

ლატვიის პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მიიჩნიეს რა, რომ ხელშეკრულება ექვემდებარებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესებს და 10%-იანი ანაზღაურების პირობა უსამართლო სახელშეკრულებო პირობას წარმოადგენდა. უზენაეს სასამართლოში დავისას წარმოიშვა საკითხი, შეიძლება თუ არა ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც ხელშეკრულების დადებისას არასრულწლოვანი და არაპროფესიონალი იყო, ჩაითვალოს „მომხმარებლად“ 93/13 დირექტივის მიზნებისთვის.

უზენაესმა სასამართლომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა შემდეგი ძირითადი საკითხების განსამარტად: ვრცელდება თუ არა დირექტივა 93/13 ასეთ სპორტულ მომსახურების ხელშეკრულებაზე; შეიძლება თუ არა 10%-იანი ანაზღაურების პირობის გამჭვირვალობისა და უსამართლო ხასიათის შეფასება; ქმნის თუ არა იგი მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს შორის მნიშვნელოვან დისბალანსს; რა მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების 15-წლიან ვადასა და სპორტსმენის არასრულწლოვანებას; და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია თუ არა ეროვნულ სასამართლოს ასეთი პირობის ეროვნული სამართლის საფუძველზე უსამართლოდ ცნობა.

2. სასამართლოს შეფასება

2.1. მომხმარებლის სტატუსი და დირექტივა 93/13-ის მოქმედების სფერო

სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივა 93/13 ვრცელდება სპორტსმენის განვითარების და კარიერული მხარდაჭერის შესახებ ხელშეკრულებაზე, რომელიც დადებულია სპორტსმენთა განვითარების სფეროში მოქმედ მიმწოდებელსა და არასრულწლოვან „ამომავალ ვარსკვლავს“ შორის, რომელსაც ხელშეკრულების დადებისას შესაბამისი სპორტული საქმიანობა პროფესიული საფუძვლით არ განუხორციელებია და, შესაბამისად, მომხმარებლის სტატუსი ჰქონდა. აღნიშნული სტატუსი განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტში და მასზე გავლენას ვერ ახდენს ის ფაქტი, რომ სპორტსმენი შემდგომში პროფესიონალი გახდა. ასევე, არც მისი „ამომავალი ვარსკვლავის“ სტატუსი, სპორტის სფეროში ცოდნა ან შესაძლო ინფორმაცია ცვლის მომხმარებლის სტატუსს, ვინაიდან დირექტივის 93/13 მიზნებისთვის „მომხმარებლის“ ცნება ობიექტური ხასიათისაა.

2.2. 10%-იანი ანაზღაურების პირობა და დირექტივის მე-4(2) მუხლი

დირექტივის 93/13 მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი გამორიცხავს ხელშეკრულების ძირითადი საგნისა და ფასისა და ანაზღაურების ადეკვატურობის შეფასებას უსამართლობის თვალსაზრისით, **თუ შესაბამისი პირობა მკაფიო და გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული**. მოცემულ საქმეში ახალგაზრდა სპორტსმენის მიერ 15 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 10%-ის გადახდის ვალდებულება უშუალოდ უკავშირდება სპორტული განვითარებისა და კარიერული მხარდაჭერის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ ანაზღაურებას. შესაბამისად, ეს პირობა განსაზღვრავს როგორც ხელშეკრულების ძირითად საგანს, ისე მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ანაზღაურების ურთიერთმიმართებას და ექცევა მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, დირექტივის ზოგადი წესით, მისი უსამართლობის შეფასება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობა არ იყო ჩამოყალიბებული მკაფიო და გასაგები ენით.

ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მე-8 მუხლი წევრ სახელმწიფოებს აძლევს უფლებას, მომხმარებელთა დაცვის უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად დააწესონ დირექტივით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი წესები. შესაბამისად, ეროვნული სამართალი შეიძლება სასამართლოს აძლევდეს უფლებას შეაფასოს ასეთი პირობის უსამართლობა მაშინაც, როდესაც იგი მკაფიო და გასაგებია.

2.3. გამჭვირვალობის მოთხოვნა

სასამართლოს განმარტებით, მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მას გააკეთოს ინფორმირებული და წინდახედული არჩევანი.

მოცემულ შემთხვევაში, 15 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 10%-ის გადახდის პირობის სიცხადის შეფასებისას მნიშვნელოვანია, **რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული ის შემოსავალი, რომლის საფუძველზეც ანაზღაურება გამოითვლება**, და

რამდენად იკვეთება ხელშეკრულებიდან მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებების ბუნება. მხოლოდ 10%-იანი პროცენტის მითითება არ არის საკმარისი, თუ მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა, წინასწარ შეაფასოს ამ ვალდებულების შესაძლო ფინანსური შედეგები. ამიტომ, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულების დადების ყველა გარემოება და დაადგინოს, ჰქონდა თუ არა სპორტსმენს ხელშეკრულების დადების მომენტში საკმარისი ინფორმაცია როგორც მომსახურებების ბუნების, ისე ანაზღაურების გამოთვლის საფუძვლის შესახებ.

2.4. მნიშვნელოვანი დისბალანსი

მნიშვნელოვანი დისბალანსის შეფასებისას, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, ეროვნული სამართლის ნორმები, რომლებიც მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა გამოყენებული. ხელშეკრულების დადების მომენტში სპორტის შესაბამის სფეროში არსებული სამართლიანი და კეთილსინდისიერი საბაზრო პრაქტიკა. ხელშეკრულების დადების ყველა გარემოება და მისი სხვა პირობები.

ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ A-ს ანაზღაურება დამოკიდებული იყო C-ის მიერ მინიმუმ 1 500 ევროს ყოველთვიური შემოსავლის მიღებაზე, C-ს გარკვეულ შემთხვევებში შეეძლო ხელშეკრულების შეწყვეტა კომპენსაციის გადახდის გარეშე და A არ იძლეოდა გარანტიას, რომ C საბოლოოდ პროფესიონალი სპორტსმენი გახდებოდა. შესაბამისად, ხელშეკრულება A-სთვისაც გარკვეულ ეკონომიკურ რისკს შეიცავდა.

2.5. უსამართლო პირობის შედეგი

თუ ეროვნული სასამართლო პირობას უსამართლოდ მიიჩნევს, იგი მომხმარებლისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო და, თუ ხელშეკრულება მის გარეშე შეიძლება არსებობდეს, იგი უნდა გაგრძელდეს აღნიშნული პირობის გარეშე. სასამართლოს მიერ პირობის შინაარსის გადახედვა ეწინააღმდეგებოდა დირექტივის მიზანს, მათ შორის, მოვაჭრეებისთვის უსამართლო პირობების გამოყენების შემაკავებელი ეფექტის უზრუნველყოფას.

2.6. არასრულწლოვნის განსაკუთრებული მდგომარეობა

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ C-ის არასრულწლოვანება და ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება მისმა მშობლებმა დადეს, რელევანტურია პირობის უსამართლობის შეფასებისას, რადგან ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. თუმცა, ეს არ გამორიცხავს ეროვნული სასამართლოს მიერ ისეთი გარემოებების გათვალისწინებასაც, როგორიცაა მშობლების ცოდნა პროფესიული სპორტის სფეროში და C-ის ასაკი - 17 წელი - ხელშეკრულების დადების მომენტში.

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"